„ძმები ლომგულები“ - ასტრიდ ლინდგრენი - პირველი თავი: https://adobe.ly/3jVoeKp
მოცემული საკონკურსო თავი წავიკითხე და განვიხილე ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ნაწყვეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, მოსწავლეებს გაუღვივდათ ინტერესი ამ წიგნის მიმართ და გადაწყვიტეს ბოლომდე წაეიკითხათ, ქვემოთ კი გავწერე ის 3 აქტივობა, რასაც ეტაპობრივად განვახორციელებ...

„ინტერვიუ პერსონაჟთან“

აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებისა (მოსმენის, ლაპარაკის) და კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას; ჩამოუყალიბებს მოსწავლეებს ემპათიის განცდას და დაეხმარება მათ, სხვადასხვა კუთხიდან/პოზიციიდან შეაფასონ წაკითხული. აქტივობა კომპლექსური სახისაა.

აქტივობის მიზნები:

ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;

კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;

წარმოსახვის უნარის განვითარება.

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეებს ვთხოვ ძმების როლების მორგებას, სხვებს კი შევთავაზებ ჟურნალისტის როლს. ვთხოვ, გაითვალისწინონ წიგნში აღწერილი ძმების არსებული მდგომარეობა და კითხვების შედგენას მოეკიდონ ფაქიზად. კითხვები შინარსობრივად უნდა აერთიანებდეს ძმების ბავშვობის პერიოდს, მათ აწმყოსა თუ მომავალს. რას ჰკითხავდნენ ან ძმები რა პასუხს გასცემდნენ მათი ფანტაზიის შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო იქნება.

აღნიშნული აქტივობით შევაფასებ შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

კრიტიკული კითხვა;

კრიტიკული აზროვნება;

აზრის სათანადოდ გადმოცემა ზეპირი გზით;

წარმოსახვის უნარის გამოყენება.

ბ) „ავტორის სკამი“

აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას, წერითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობის მიზნები:

წერითი- უნარ ჩვევების განვითარება

წარმოსახვის უნარის განვითარება.

მოსმენის, მსჯელობის, შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეებს შევთავაზებდი შემდეგ თემებს: „ დედამიწაზე ყველაზე მჭიდრო კავშირია დედმამიშვილობა“; „სასოწარკვეთილი ადამიანის დაიმედება ყველაზე დიდი ნიჭია“; „ სიყვარული შობს სიკეთეს“ კენჭის ყრით აირჩევდნენ ერთ კონკრეტულ თემას, შემდგომ კი ლაკონიურად 10-15 წუთის განმავლობაში დაწერდნენ საკუთარ მოსაზრებებს და სათითაოდ წაუკითხავდნენ მეგობრებს. დასასრულს ჩავატარებდი გამოკითხვას და მინიჭებული მოწონებების უმრავლესობით გამოვავლენდი სამ გამარჯვებულს, მოსწავლეებს წავახალისებდი მადლობის სიგელით, რაც ვფიქრობ, აამაღლებდა მათ მოტივაციას.

გ)„ ჯადოსნური ჯოხი, რომ მქონდეს...“

თითოეული მოსწავლე ფერად ფურცლებზე დაწერდა, შემდეგ კი დაასახელებდა სამ წინადადებას „ჯადოსნური ჯოხი, რომ ქონდეს, რას და რატომ შეცვლიდა დედამიწაზე“ აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს განუვითარებს მსჯელობის უნარს, კიდე უფრო მეტად გაუღვივებს ემპათიას, განუვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს...